



PONATINIB - ICLUSIG®

რა არის ICLUSIG-ი

მოლეკულის აღწერა	აღწერა
პონატინიბი	15 მგ, 30 მგ და 45 მგ ტაბლეტები: თეთრი, მრგვალი  

როგორ უნდა მიიღოთ წამალი?

წამლის დოზირება განსაზღვრულია თქვენი ექიმის მიერ.

თქვენს შემთხვევაში, უნდა იყოს მგ/დღეში, ანუ 15 მგ-ანი

ტაბლეტი ან/და 30 მგ-ანი ტაბლეტი ან/და 45 მგ-ანი ტაბლეტი,

რომელიც მიიღება ერთ მიღებაზე, ყოველდღე.

ტაბლეტები გადაყლაპეთ მთლიანად, ერთ ჭიქა წყალთან ერთად, დაქუცმაცების, გატეხვის

ან განზავების გარეშე. მიიღეთ ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე.

დავინწყების ან ლებინების შემთხვევაში: არ მიიღოთ დამატებითი დოზა, დაელოდეთ შემდეგ მიღებას.

დოზირება - მიღების წესი

ერთი მიღება დღეში, ფიქსირებულ დროს, კვებისას ან კვების გარეშე	  
უწყვეტლივ	 დ1  დ2  დ3  დ4  დ5  დ6  დ7 ...  დ28

როგორ მოიქცეთ, რომ არ გამოგელიოთ მარაგი?

ეს წამალი ხელმისაწვდომია ქალაქის აფთიაქებში.

მის მიწოდებას შესაძლოა დასჭირდეს გარკვეული დრო. ყურადღებით იყავით და წინასწარ დაგეგმეთ თქვენი რეცეპტის განახლება.

შეინახეთ ეს წამალი ორიგინალ შეფუთვაში, სითბოსა და ტენიანობისგან დაცულ ადგილას.

სხვა რა ინფორმაცია უნდა იცოდეთ?

გამაფრთხილებელი ზომები და მეთვალყურეობა

თქვენი მედიკამენტის მიღება საჭიროებს ბიოლოგიურ მეთვალყურეობას (სისხლის საერთო ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ სისხლის მაჩვენებლებს, ღვიძლისა და პანკრეასის ფუნქციებს, სისხლში შაქრისა და ქოლესტერინის დონეს) და კლინიკურ მეთვალყურეობას (არტერიული წნევა, ელექტროკარდიოგრამა).

კონტრაცეფცია

ეს წამალი შეიძლება ზიანს აყენებდეს ჩანასახს. თქვენ და თქვენმა პარტნიორმა მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში და მისი შეწყვეტიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა გამოიყენოთ ეფექტური კონტრაცეპტული მეთოდები (პრეზერვატივი და დამატებითი მეთოდი).

მედიკამენტებთან და/ან კვებასთან ურთიერთქმედება

ICLUSIG®-ის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტები (პრეპარატის ეფექტურობისა და ამტანობის შემცირება). ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფარმაცევტი და მკურნალი ექიმი ინფორმირებული იყვნენ ყველა იმ მედიკამენტის და/ან სხვა ნივთიერებების (საკვები პროდუქტები, მცენარეები, პრობიოტიკები, ეთერზეთები, საკვები დანამატები და სხვ.) შესახებ, რომელსაც იღებთ.

მაგალითი: მოერიდეთ კრაზანას ან გრეიფრუტის ერთად მიღებას ICLUSIG®-თან ერთად. მოერიდეთ კუჭის



მუავიანობის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღებას.

რომელია არასასურველი გვერდითი მოვლენები?

ყველაზე გავრცელებული გვერდითი მოვლენები ჩამოთვლილია ქვემოთ. ასევე შესაძლოა სხვა გვერდითი ეფექტებიც გამოვლინდეს. დამატებითი ინფორმაციისთვის გაეცანით მედიკამენტის ინსტრუქციას ან მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

გვერდითი მოვლენები	
ყველაზე ხშირი	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: გულისრევა, ღებინება, დიარეა, კუჭის შეკრულობა და მადის დაკარგვა ზოგადი დარღვევები: წყლის შეკავება, თავბრუსხვევა, დაღლილობა. ბიოლოგიური ანალიზის ანომალიები: თრომბოციტების (თრომბოციტოპენია), ჰემოგლობინის (ანემია) და/ან ნეიტროფილების პოლინუკლეარული უჭრედების (ნეიტროპენია) შემცირება, ღვიძლის და/ან პანკრეასის ტესტების პათოლოგიური მაჩვენებლები. ტკივილი: ძვლების, კუნთების და სახსრების ტკივილი, თავის ტკივილი კანის დარღვევები: გამონაყარი, ქავილი ფილტვების პრობლემები: ინფექცია, ხველა, სუნთქვის გაძნელება გულის პრობლემები: მათ შორის მაღალი არტერიული წნევა. სხვა: სისხლდენა, დაღლილობა და ძილის დარღვევები
ზოგ პაციენტს ესაჩიროება განსაკუთრებული ყურადღება	B ჰეპატიტის ვირუსით დაავადებული პაციენტები დიაბეტიანი პაციენტები (ჰიპერგლიკემიის რისკი)
როდის უნდა მიმართოთ სამედიცინო ჯგუფს?	

გააფრთხილეთ სამედიცინო გუნდი შემდეგ შემთხვევებში, თუ არ გაქვთ მიღებული კონკრეტული სამედიცინო რეკომენდაციები	საჭმლის მომნელებელი სისტემის დარღვევები: მნიშვნელოვანი და/ან სწრაფი წონის დაკლების შემთხვევაში. ძალიან ხშირი დიარეა, დღეში 4-ზე მეტი კუჭში გასვლა კუჭის ძლიერი ტკივილი 24 საათის განმავლობაში დაღვების და/ან დაახლოებით 48 საათის განმავლობაში ჭამის შეუძლებლობა კვირაში 3-ზე ნაკლები კუჭში გასვლა ინფექციის მაჩვენებელი სიმპტომები ტემპერატურა > 38,5 °C ხველება, ყელის ტკივილი, ტკივილი შარდვისას, დიარეა და სიცხე ერთად სისხლდენის მაჩვენებელი სიმპტომები სისხლი განავალში ან ლებინების დროს. სისხლჩაქცევები (სილურჯეები), ცხვირიდან სისხლდენა ფილტვების არეში დარღვევები დიდხიანი ხველების გაუარესება ან სუნთქვის გართულება ტკივილი, რომელიც ხელს გიშლით ჩვეული აქტივობების შესრულებაში თავის ტკივილი და/ან სახსრების ტკივილი სიმპტომები, რომლებიც მიუთითებს წყლის შეკავებაზე წონის სწრაფი და მოულოდნელი მატება. გულის ან სისხლძარღვთა სისტემის დარღვევის ნიშნები თავის ტკივილი, ყურებში ზუზუნი და/ან თავბრუსხვევა ციფრების ზრდა არტერიული წნევის გაზომვისას სუნთქვის უკმარისობა, გულის აჩქარება, ტკივილი ან წნეხი გულმკერდის არეში შენიშნება წნევის არეში, ტკივილი და შეხურება ნევროლოგიური დარღვევის მაჩვენებელი სიმპტომები სისუსტე სხეულის ერთ მხარეს, ძლიერი თავის ტკივილი, კრუნჩხვები, დაბნეულობა, მეტყველების გაძნელება, მხედველობის ცვლილებები ან ძლიერი თავბრუსხვევა
როგორ უნდა მოახდინოთ გვერდითი მოვლენების პრევენცია?	
კანის მოვლა	ჰიგიენისთვის უპირატესობა მიანიჭეთ რბილ საპონს და დამატენიანებელ კრემს, გაიშრეთ ტამპონირებით. მოერიდეთ ნებისმიერი გამაღიზიანებელი საშუალების გამოყენებას. მზისგან დასაცავად, გამოიყენეთ მზის დამცავი კრემი და მოერიდეთ მზეზე გასვლას
წონა	გააკონტროლეთ რეგულარულად თქვენი წონა კუჭ-ნაწლავის დარღვევების დროს ან წყლის შეკავების შემთხვევაში
წყლის შეკავება (კიდურების შეშუპება)	ნუ ატარებთ ძალიან მჭიდრო ტანსაცმელს, წინდებსა და ფეხსაცმელებს. აწყვეთ ფეხები სიმაღლეზე.
ინფექცია	მოერიდეთ რისკის შემცველ ადგილებს (ხალხმრავლობა, ავადმყოფებთან კონტაქტი და ა.შ.). რეკომენდირებულია პნევმოკოკისა და გრიპის საწინააღმდეგო აცრა: ის თქვენ დაგიცავთ.
წნევის კონტროლი	მაღალი წნევა უნდა გამოსწორდეს. არტერიული წნევის რეგულარული გაზომვა რეკომენდირებულია. ფარმაცევტებს შეუძლიათ დაგეხმარონ წნევის გაზომვაში. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ თქვენ თვითონ გაიზომოთ ავტო-წნევის გამზომით.

დაღლილობა / სახსრების ტკივილი / კუჭის შეკრულობა	ამჟობინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც თქვენს კარგად ყოფნას უწყობს ხელს, განსაკუთრებით კი ადაპტირებული და რეგულარული ფიზიკური აქტივობა: სიარული, ცურვა, ველოსიპედით სიარული, სპორტი და ა.შ. ჩაანაცვლეთ აქტივობის პერიოდი დასვენებით და პირიქით.
სისხლდენა	მოერიდეთ ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღებას (იბუპროფენი, ასპირინი და ა.შ.) აცნობეთ თქვენს ექიმს: თუ იღებთ ანტიკოაგულანტებს ან თრომბოციტების ანტიაგრეგანტულ პრეპარატებს: საჭიროა მკაცრი მონიტორინგი ქირურგიული ან სტომატოლოგიური ჩარევისას
როგორ უნდა დაიწყოთ ადაპტირებული კვება?	
დიარეა	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალ ბოჭკოვან დიეტას. სასურველია მიირთვათ სახამებლიანი პროდუქტები, სტაფილო და ბანანი. არ მიირთვათ უმი ხილი და ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ყავა და ალკოჰოლი. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.
გულის რევის შეგრძნება	უპირატესობა მიანიჭეთ ფრაგმენტულ კვებას, რომელიც გადანაწილებულია რამდენიმე მსუბუქ რაციონად. საკვები უნდა იყოს თხევადი და ცივი. შეზღუდეთ ცხიმოვანი, შემწვარი და ცხარე საკვები.
წყლის შეკავება	უპირატესობა მიანიჭეთ დაბალი რაოდენობის მარილიან საკვებს.
კუჭის შეკრულობა	უპირატესობა მიანიჭეთ ბოჭკოვანით გამდიდრებულ დიეტას. დალიეთ წყალი დიდი რაოდენობით.